

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №3

ქ. თბილისი

19.09.2013

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

თამარ ცირეკიძე - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) მომსახურების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ტრენერი და კონსულტანტი, საბჭოს თავმჯდომარე;

ლაშა მკურნალიძე - ასოციაცია „სკოლა - ოჯახი - საზოგადოების“ აღმასრულებელი დირექტორი; საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნატო ქობულაძე - ინკლუზიური განათლების ექსპერტი, საბჭოს მდივანი;

მაია მაღლაკელიძე - საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი;

თამარ მოსიაშვილი - სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის განათლების პროგრამის მენეჯერი;

პავლე თვალთაშვილი - ზოგადი განათლების ექსპერტი;

თინათინ ცერცვაძე - დებატებისა და განათლების ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი;

ზვიად მიმინოშვილი - ზოგადი განათლების ექსპერტი.

საბჭოს სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული პირები:

ინგა მანაშერიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;

მათე ტაკიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ქეთევან დოჩანაშვილი - შპს - გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის დირექტორი;

2. თამარ ხარძიანი - შპს - გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის დირექტორის მოადგილე;

3. ტარიელ ქობულაძე - შპს - ახალგაზრდობის დირექტორი;

4. მანანა სანაძე - შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლის დირექტორი;

5. ნატა სტურუა - შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლის იურისტი;
6. ბონდო ზარნაძე - შპს - აკადემია ლიბერტი-პროფის დამფუძნებელი;
7. ნატო ზარნაძე - შპს - აკადემია ლიბერტი-პროფის დირექტორის მოადგილე.

ავტორიზაციის ექსპერტები:

- ქეთევან ბოტკოველი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნინო ჟვანია - ავტორიზაციის ექსპერტი;
ლიანა ჩარკვიანი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნინო ფეტვიაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ციური დურული - ავტორიზაციის ექსპერტი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:06 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - ახალგაზრდობისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
3. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
4. შპს - აკადემია ლიბერტი-პროფისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
5. შპს - დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შვენაბადისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მას აცილება ჰქონდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე და მეხუთე საკითხთან დაკავშირებით და ითხოვა მესამე და მეოთხე საკითხებისათვის ადგილების გაცვლა რის შემდეგაც ბოლო ორ საკითხზე საბჭოს

სხდომას უხელმძღვანელებდა, ლაშა მკურნალიძე. საბჭომ ერთხმად გაიზიარა აღნიშნული შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო ახალი დღის წესრიგი:

1. შპს - გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - ახალგაზრდობისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
3. შპს - აკადემია ლიბერთი-პროფისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
4. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
5. შპს - დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.



1. შპს - გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა შპს - გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართულ სკოლაში ვიზიტის განმახორციელებელი საექსპერტო ჯგუფის თავმჯდომარემ ქეთევან ბოტკოველმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული. ავტორიზაციის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში დანერგილი იყო სიახლე, რომლის მიხედვითაც თითოეულ კლასში, კედელზე, დამონტაჟებული იყო მოძრავი ტიხრები, რომლებიც კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი იყო. ტიხრების საშუალებით იქმნებოდა თითოეული მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გარემო.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 120-ით განსაზღვრა.

საბჭომ იმსჯელა შპს - გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხზე და მიიჩნია, რომ ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართული სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართულ სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 404903734) 5 წლის ვადით მიენიჭოს

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით. შპს - გურამ დოჩანაშვილი - საერთაშორისო ქართულ სკოლას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით.

სხდომაზე 18:17 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 18:30 საათზე.

საბჭოს სხდომაზე ექსპერტის დაგვიანების გამო, თავმჯდომარემ დააყენა საკითხი დღის წესრიგში განხორციელებულიყო ცვლილება და პირველ ეტაპზე განეხილათ შპს - დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი, შემდეგ კი თავდაპირველი დღისწესრიგით გათვალისწინებული თანმიმდევრობით. საბჭომ ერთხმად გაიზიარა შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო ახალი დღის წესრიგი:

1. შპს - გურამ დოჩანაშვილი-საერთაშორისო ქართული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.
3. შპს - ახალგაზრდობისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
4. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა;
5. შპს - აკადემია ლიბერთი-პროფისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.

2. შპს - დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საკითხის განხილვის დაწყებამდე, საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ცირეკიძემ განაცხადა თვითაცილება და შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს - დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვას უძღვებოდა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლაშა მკურნალიძე.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი თამარ მოსიაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ დადაწესებულების წარმომადგენლები.

ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, იყო თუ არა დაწესებულებისათვის სხდომის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ცნობილი.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭილაძემ აღნიშნა, სხდომის დღის წესრიგი კანონმდებლობით დადგენილი წესით, შვიდი დღით ადრე საჯაროდ გამოქვეყნდა ცენტრის ვებ გვერდზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას გაეგზავნა წერილობითი შეტყობინება.

საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, სხდომაზე დაინტერესებული მხარის მონაწილეობის გარეშე განეხილა საკითხი.

ლაშა მკურნალიძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ციური დურულმა, რომელმაც აღნიშნა:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული გრაფიკოსი“ არ შეესაბამება სტანდარტებს, კერძოდ პროგრამის შემადგენელ კომპონენტებს (საათების განაწილება, შედეგები, შეფასების სისტემა) შორის არ არის შინაარსობრივად თანმიმდევრული და ლოგიკური ბმა, სილაბუსებში შემავალ კომპონენტებს (შეფასების მეთოდი) შორის თანხვედრა არ არის, სილაბუსთა შედეგები არ არის საკმარისი კვალიფიკაციის მინიჭებისათვის. პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებმა შეისწავლონ სამეწარმეო საქმიანობა, მაშინ როდესაც სილაბუსში გაწერილი თემატიკის გავლა და აღწერილი შედეგების მიღწევა 2 კრედიტის ფარგლებში ძნელად წარმოსადგენია, პროგრამაში არ არის მითითებული კონკრეტული პროგრამული სასწავლო რესურსი.

შენიშვნა ¹ - დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია შემდეგი სამართლებრივი აქტები: „პროფესიული სწავლების შინაგანაწესი“, „სტუდენტთა ჩარიცხვის წესი“, „სასწავლო პროცესის მარგეულირებელი წესი“. მათში განსაზღვრული წესები, პროცედურები არ მოიცავს სრულყოფილ ინფორმაციას გიმნაზიაში არსებული პროფესიული განათლების მიმართულებით რეგულირების შესახებ. ერთერთი მაგალითია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების პროცედურები. პროგრამების დამტკიცების

უფლებამოსილი პირი ნათლად და კონკრეტულად უნდა იყოს განსაზღვრული; სახეზეა სტანდარტთან შეუსაბამობა, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მე-6 მუხლის ა) ნაწილთან.

შენიშვნა ² - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალ კომპონენტებს შორის უნდა იყოს ლოგიკური და შინაარსობრივი ბმა, თანმიმდევრობა, რაც ადასტურებს პროგრამის განმახორციელებელი პირების მიერ მის გააზრებულად შემუშავებას. კურიკულუმსა და სილაბუსებში გაწერილი საათების თანხვედრა არ დასტურდება, (ასეთი ტიპის შეცდომა რომ აღმოჩენილიყო მხოლოდ ერთ სილაბუსში ის ტექნიკურ შეცდომად ჩაითვლებოდა) შესაბამისად პროგრამის სტრუქტურა არათანმიმდევრულია, რაც ადასტურებს სტანდარტთან შეუსაბამობას, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მე-6 მუხლის ა) ნაწილთან;

შენიშვნა ³ - ზოგადად საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან - პროგრამის აღწერილობა და თანდართული სილაბუსები. ორივე ნაწილი ერთმანეთთან უნდა იყოს ლოგიკურ, შინაარსობრივ ბმაში, რითაც დადგინდება მთლიანი პროგრამის თანმიმდევრული სტრუქტურა. თუ პროგრამის აღწერილობით ნაწილში მითითებულია შეფასების სისტემის პრინციპები და არ არის საუბარი გამოწვევის შემთხვევებისა, მაშინ თანდართულ სილაბუსებში ეს პრინციპები ყველგან უნდა იქნეს გათვალისწინებული. ამ შემთხვევაში დათქმულია შეფასების ზოგადი წესი ქულათა განაწილების პრინციპით 50 - 50-ზე, თუმცა პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში წესი დარღვეულია, რაც ადასტურებს პროგრამის არათანმიმდევრულობას, სტანდარტთან შეუსაბამობას, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მე-6 მუხლის ა) ნაწილთან;

შენიშვნა ⁴ - პროფესიული პროგრამით განსაზღვრულ კომპონენტებში დაშვების წინაპირობა შესაძლოა იყოს მხოლოდ ამ პროგრამის რომელიმე სასწავლო კურსი და არა პროგრამის ფარგლებს გარეთ მიღებული ცოდნა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამამდე მიღებული ცოდნა დაშვების წინაპირობად შესაძლოა იყოს მხოლოდ პროგრამაზე ჩარიცხვამდე და არა ჩარიცხვის შემდეგ (კონკრეტულ სასწავლო კურსების სწავლის დაწყებამდე). აღნიშნული ადასტურებს პროგრამის არათანმიმდევრულობას, სტანდარტთან შეუსაბამობას, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მე-6 მუხლის ა) ნაწილთან;

შენიშვნა ⁵, შენიშვნა ⁶ - როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული პროგრამის კომპონენტებს შორის უნდა იყოს შინაარსობრივი ბმა. ამ შემთხვევაში ტერმინი - კომპონენტები გულისხმობს ცოდნის შეფასების, მეთოდოლოგიის, შედეგების და სხვა აქტივობების შესაბამისობას პროგრამის აღწერილობით ნაწილსა და თანდართულ სილაბუსებს შორის. წარმოდგენილი პროგრამის სილაბუსებში გაწერილი შედეგები არ ემთხვევა შედეგების რუქაში მითითებულს, პროგრამა არათანმიმდევრულია, რაც ადასტურებს სტანდარტთან შეუსაბამობას, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1

ოქტომბრის № 99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მე-6 მუხლის ა) ნაწილთან;

შენიშვნა ⁷ - დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულ პროგრამების კატალოგში პროფესიულ სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა განსხვავებულად არის გაწერილი ვიდრე პროგრამასა და მარეგულირებელ წესში. კატალოგის მიზანია დაინტერესებულ პირთა ინფორმირება, შესაბამისად ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი.

შენიშვნა ⁸ - მართალია, პროგრამის აღწერილობითი ნაწილის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტს, თუმცა თანდართული სასწავლო კურსთა სილაბუსებით განსაზღვრული შედეგები არ შეესაბამება კურიკულუმის შედეგებს, კვალიფიკაციათა ჩარჩოს მესამე საფეხურის პროფესიულ კვალიფიკაციის მოთხოვნებს და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტს. სახეზეა სტანდარტთან შეუსაბამობა, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მე-6 მუხლის გ) ნაწილთან;

შენიშვნა ⁹ - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის სრულყოფილად განსაზღვრული სასწავლო რესურსი, ასევე კურიკულუმში მითითებული მემორანდუმის არსებობა არ დასტურდება. დაწესებულების წარმომადგენელს შეუძლია ავტორიზაციის საბჭოს წინაშე მისი წარმოდგენა;

შენიშვნა ¹⁰ - პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით ან/და სამუშაო გამოცდილებით, რომლის მხოლოდ ავტობიოგრაფიაში მითითება არ არის საკმარისი, არამედ წარმოდგენილი უნდა იქნეს შრომის წიგნაკი ან/და ცნობა სამუშაო ადგილიდან, ან/და არაფორმალურ პირობებში მიღებული განათლების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “ინერნეტტექნოლოგიის (ვებსპეციალისტის) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა” არ შეესაბამება სტანდარტებს, კერძოდ პროგრამის შემადგენელ კომპონენტებს (სასწავლო კურსების განხორციელების მიმდევრობა, მეცადინეობების ფორმატი, საათების განაწილება, შედეგები, შეფასების სისტემა) შორის არ არის შინაარსობრივად თანმიმდევრული და ლოგიკური ბმა, სილაბუსებში შემავალ კომპონენტებს (შეფასების მეთოდი) შორის თანხვედრა, სილაბუსების შედეგები არ არის საკმარისი კვალიფიკაციის მინიჭებისათვის.

შენიშვნა 1 - პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილი ორგანო ნათლად და კონკრეტულად უნდა იყოს განსაზღვრული; სახეზეა სტანდარტთან შეუსაბამობა, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მე-6 მუხლის ა) ნაწილთან.

შენიშვნა 2 - პროფესიული პროგრამით განსაზღვრული შეფასების წესი (ქულათა განაწილება) არ ემთხვევა დაწესებულების მიერ შემუშავებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ და კატალოგში აღნიშნულ შეფასების წესს.

კურიკულუმში დადგენილია შეფასების ზოგადი პრინციპი - შუალედურსა და დასკვნითი შეფასებების კომპონენტებს შორის ქულები განაწილებულია 50/50-ზე, თუმცა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის სილაბუსებში შუალედურსა და დასკვნითი შეფასებებისათვის ქულები განაწილებულია 60/40-ზე, რაც ადასტურებს პროგრამის არათანმიმდევრულ სტრუქტურას, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მე-6 მუხლის ა) ნაწილთან;

დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულ პროგრამების კატალოგში პროფესიულ სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა ასევე განსხვავებულად არის გაწერილი, ვიდრე პროგრამასა და მარეგულირებელ წესში. კატალოგის მიზანია დაინტერესებულ პირთა ინფორმირება, შესაბამისად ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი.

შენიშვნა 3 - პროფესიული პროგრამით განსაზღვრულ კომპონენტებში დაშვების წინაპირობა შესაძლოა იყოს მხოლოდ ამ პროგრამის რომელიმე სასწავლო კურსი და არა პროგრამის ფარგლებს გარეთ მიღებული ცოდნა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამამდე მიღებული ცოდნა დაშვების წინაპირობად შესაძლოა იყოს მხოლოდ პროგრამაზე ჩარიცხვამდე და არა ჩარიცხვის შემდეგ (კონკრეტულ სასწავლო კურსების სწავლის დაწყებამდე). აღნიშნული ადასტურებს პროგრამის არათანმიმდევრულობას, სტანდარტთან შეუსაბამობას, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მე-6 მუხლის ა) ნაწილთან;

შენიშვნა 4 - სასწავლო კურსთა სილაბუსებში მითითებული შედეგები არ არის საკმარისი კურიკულუმის სწავლის შედეგების რუქაში აღნიშნული კომპეტენციების მისაღწევად. პროგრამის არათანმიმდევრულობა დასტურდება კურიკულუმისა და სილაბუსების შედეგების შეუსაბამობით. სასწავლო კურსთა შედეგები სილაბუსებში არ არის გაწერილი კომპეტენციების მიხედვით. კურიკულუმის შედეგების რუქის მიხედვით „ღირებულებებზე“ გადის 7 სასწავლო კურსი, რომელთა მიღწევა სილაბუსებით არ დასტურდება. სასწავლო კურსები -უცხო ენა, სამეწარმეო საქმიანობა, ვებპროექტირება ისწავლება მხოლოდ სალექციო და დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში, რაც მიუთითებს სტუდენტის სასწავლო დატვირთვის არასწორ განაწილებაზე და ცხადია, აღნიშნული სასწავლო კურსების შედეგების მიღწევას ვერ უზრუნველყოფს.

პროფესიული პროგრამის კომპონენტების ერთმანეთთან თანმიმდევრული, ლოგიკური ბმა არ დასტურდება, რაც ადასტურებს სტანდარტთან შეუსაბამობას, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მე-6 მუხლის ა) ნაწილთან;

შენიშვნა 5 -სასწავლო კურსთა სილაბუსებში შეფასების სისტემა არ მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს, განსაზღვრულია მხოლოდ შეფასების ფორმები, არ არის დადგენილი პროფესიულ სტუდენტთა შუალედური შეფასებების მინიმუმალური ზღვარი, ანუ დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა.

შენიშვნა 6 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის სრულყოფილად განსაზღვრული სასწავლო რესურსი, დაწესებულების წარმომადგენელს შეუძლია ავტორიზაციის საბჭოს წინაშე მისი წარმოდგენა;

ინგა მანაშერიძემ აღნიშნა, რომ საკითხი იმდენად სრულყოფილად იყო გამოკვლეული, რომ განსხვავებული მოსაზრების თქმა არ შეიძლებოდა.

მათე ტაკიძის თქმით დაფიქსირებული იყო საკმაოდ ბევრი ხარვეზი, რასაც ეთანხმებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადისთვის“ კომპიუტერული გრაფიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - დამოუკიდებელი საერო გიმნაზია „შავნაბადისთვის“ ინტერნეტტექნოლოგიის (ვებსპეციალისტის) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - დამოუკიდებელ საერო გიმნაზია „შავნაბადას“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 206051396) უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	კომპიუტერული გრაფიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მესამე	კომპიუტერული გრაფიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2	ინტერნეტტექნოლოგიის (ვებსპეციალისტის) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მესამე	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება -18:46

სხდომა განახლდა - 19:00

3. შპს - ახალგაზრდობისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ლიანა ჩარკვიანმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებზე.

ექსპერტის, ლიანა ჩარკვიანის, განცხადებით, ვიზიტის დროს ექსპერტებმა დააფიქსირეს შემდეგი შენიშვნები:

- 1) საწარმოო პრაქტიკის სილაბუსებში და პროგრამებში არ არის მითითებული საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის გავლის კონკრეტული ადგილები, თუმცა წარმოდგენილია ხელშეკრულებები და მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან პრაქტიკის გავლის შესახებ;
- 2) პროგრამებში წარმოდგენილ სასწავლო გეგმებში სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი ითვალისწინებს დამოუკიდებელი საათებს, რაც არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №121/5 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის შესაბამისად, პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებულია, მხოლოდ, პრაქტიკული მეცადინეობა და გამოცდის ჩაბარება.
- 3) სილაბუსებში ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობის საათები არ არის გამიჯნული;
- 4) პროგრამებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია შესაბამის სილაბუსებში.

საბჭოს წევრმა, თინათინ ცერცვაძემ, დააზუსტა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის 3.4 პუნქტში მითითებული წინადადების შინაარსი, რომ დაწესებულებას ჰქონდა გაფორმებული პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ხელშეკრულებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თუმცა მათი დანიშვნის აქტების წარმოდგენა დაწესებულებამ ვერ შეძლო.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, წინასწარ დანიშვნის ბრძანება არ ჰქონდა დაწესებულებას შედგენილი, არამედ, ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული, რაც დარღვევას არ წარმოადგენდა. ამასთან, მან დასძინა, რომ ხარვეზები მათ მიერ იყო გამოსწორებული და ცენტრში წარმოდგენილი.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის, ნანა ჭილაძის, განცხადებით, ავტორიზაციის დებულების თანახმად, საბჭოს მიერ მხედველობაში აღარ მიიღება ვიზიტის შემდგომ შექმნილი დოკუმენტები, შესაბამისად, ზემოაღნიშნული დებულება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საბჭოს წევრებისათვის გადაგზავნის უფლებას ცენტრს არ აძლევდა. მისი განცხადებით, ამავე პრინციპით არ მოხდა დოკუმენტების ექსპერტთათვის გადაგზავნა.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ დასკვნის შესაბამისად, დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი ბათუმის სასპორტო სკოლასთან. თავად დაწესებულებაც ფუნქციონირებდა ქ. ბათუმში. იგულისხმებოდა თუ არა, რომ მემორანდუმის საფუძველზე, პრაქტიკა იქ განხორციელდებოდა.

ექსპერტის, ლიანა ჩარკვიანის, განცხადებით, ზოგადად, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც საწარმო მდებარეობს ერთ მისამართზე, ხოლო სტუდენტები პრაქტიკას გადიოდნენ სხვა მისამართზე. მისი განმარტებით, სტუდენტმა წინასწარ უნდა იცოდეს პრაქტიკის გავლის ადგილი და შესაბამისად, ამის შესახებ ინფორმაციას უნდა შეიცავდეს საგანმანათლებლო პროგრამა. რადგან მოთხოვნა არსებობდა, ლოგიკური იყო, რომ ეს მოთხოვნა უნდა შესრულებულიყო დაწესებულების მიერ.

სათათბირო ხმის უფლების მქონე პირის, ინგა მანაშერიძის, განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამაში ადამიანური რესურსის შესახებ ინფორმაციის მითითება იყო გემოვნების ამბავი, მით უფრო, რომ სილაბუსი შეიცავდა ამ ინფორმაციას. მისი განცხადებით, მთავარი იყო, რომ დაწესებულებას ჰყავდა შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანური რესურსი, ამდენად, მას, ეს შენიშვნა არსებითად არ მიაჩნდა.

პავლე თვალთაშვილის განცხადებით, მან შეამოწმა დაწესებულების ვებგვერდი და აღმოაჩინა, რომ მასზე არ იყო განთავსებული განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, შესაბამისად, გაუჩნდა შეკითხვა ექსპერტთან ჰქონდა თუ არა დაწესებულებას შემუშავებული ეს გეგმა, რაზეც ლიანა ჩარკვიანმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰქონდა შემუშავებული განვითარების როგორც ერთწლიანი, ისე ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ იქნა შემოწმებული. მისი განცხადებით, სტანდარტი, კონკრეტულად, არ ითხოვდა განვითარების გეგმების ვებგვერდზე განთავსების ვალდებულებას.

თინათინ ცერცვაძემ დააზუსტა თუ რას ნიშნავდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ვებგვერდთან დაკავშირებული შეფასება, რომ იგი განახლების პროცესში იყო.

ლიანა ჩარკვიანის განმარტებით, აღნიშნული ხარვეზს არ წარმოადგენდა. მისი განცხადებით, ვიზიტის განხორციელების დროს, დაწესებულება ანახლებდა ვებგვერდს აქტუალური ინფორმაციით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ჰქონდა თუ არა საბჭოს უფლება ვიზიტის შემდგომ, ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია მიეღო მხედველობაში.

ლაშა მკურნალიძის განმარტებით, წინა საბჭოს სხდომაზე, რომელსაც თავად თავმჯდომარეობდა, იყო მსგავსი შემთხვევა და ავტორიზაციის დებულების ნორმის შესაბამისად, საბჭომ არ მიიღო გამოსწორებული დოკუმენტები. ეს ლოგიკურად იყო, რადგან საგანმანათლებლო პროგრამის თავიდან შემოწმების არც დრო და არც შესაბამისი რესურსი იყო საბჭოს სხდომის მიმდინარეობისას. მან, დამატებით, დასძინა, რომ საბჭომ პრაქტიკით



დაადგინა, რომ იგი იღებს საბჭოს სხდომის ფორმატში ადვილად გადამოწმებად დოკუმენტებს, თუმცა ეს შემთხვევა ამ გამონაკლისში, სამწუხაროდ, არ ხვდება.

ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, რამდენი მოსწავლე სწავლობდა სკოლაში, რაზეც მხარემ განაცხადა, რომ სკოლაში 50 მოსწავლე ირიცხებოდა.

ლაშა მკურნალიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, სკოლის 3 სველი წერტილი როგორ ნაწილდებოდა მოსწავლეებს შორის.

შპს - ახალგაზრდობის წარმომადგენლის განცხადებით, სველი წერტილები გამიჯნული იყო გოგონებისა და ვაჟებისათვის, ამასთან, იყო ადაპტირებული სველი წერტილი და ცალკე - პედაგოგთათვის.

ლაშა მკურნალიძემ შენიშნა, რომ მხარის განმარტების გათვალისწინებით, 3 სველ წერტილზე მეტი გამოდიოდა.

შესვენება გამოცხადდა - 19:18

სხდომა განახლდა - 19:30

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ზვიად მიმინოშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მხარეს განუმარტა, რომ საბჭო შეზღუდული იყო მოქმედი კანონმდებლობით, რომლის თანახმადაც, იგი ვერ გაითვალისწინებდა ვიზიტის შემდგომ შემუშავებულ დოკუმენტებს.

ლაშა მკურნალიძის განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამების შესამოწმებლად საჭირო იყო ექსპერტული შეფასება, რომელიც საბჭოს სხდომის ფორმატში შეუძლებელი იქნებოდა.

საბჭომ იმსჯელა შპს - ახალგაზრდობისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხზე და მიიჩნია, რომ დაწესებულება ავტორიზაციის სტანდარტს არ აკმაყოფილებდა.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ახალგაზრდობისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის შესაბამისად, შპს - ახალგაზრდობას (საიდენტიფიკაციო კოდი: 245422993) უარი ეთქვას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე.

4. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა

საკითხის განხილვის დაწყებამდე, საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ცირეკიძემ განაცხადა თვითაცილება და შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვას უძღვებოდა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლაშა მკურნალიძე.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიანა ჩარკვიანმა, რომელმაც ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

საბჭოს წევრი პავლე თვალაშვილი დაინტერესდა, თუ რატომ არ იყო დაწესებულების ვებგვერდი განახლებული. მისი განმარტებით, ბოლო განახლება, ვებგვერდის თანახმად, განხორციელებული იყო აგვისტოს თვეში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინფორმაციის განახლება ხდებოდა სიახლეებიდან გამომდინარე და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული ინფორმაცია განახლდა აგვისტოს თვეში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სექტემბრის თვე სიახლეების მხრივ არ გამოირჩეოდა და შესაბამისად, ამიტომ არ მოხდა განახლება. დაწესებულების დირექტორმა დამატებით აღნიშნა, რომ სოციალური ქსელის მეშვეობით ხდებოდა ინფორმაციის განახლება, რაც დაინტერესებული პირებისთვის იყო უფრო მოსახერხებელი.

ავტორიზაციის საბჭოს წევრი მაია მაღლაკელიძე დაინტერესდა, ცალკე იყო თუ არა ბიბლიოთეკა მოწყობილი და რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა სკოლაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში ამჟამად ირიცხებოდა 25 მოსწავლე. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბიბლიოთეკაში იყო, როგორც სკოლის შესაბამისი საფეხურის, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო ლიტერატურა.

საბჭოს წევრი ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, როგორ ხდებოდა დაწესებულებაში პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა

თ. 17

სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის შესაბამისი მექანიზმები. ავტორიზაციის ექსპერტმა ლიანა ჩარკვიანმა აღნიშნა, რომ სკოლას აღნიშნული მექანიზმები ჰქონდა გაწერილი.

საბჭოს წევრმა თინათინ ცერცვაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუკი, დაწესებულებას ჰყავდა 6 პროფესიული მასწავლებელი, 4 სართულიანი შენობიდან რამდენი ფართი დაეთმობოდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროფესიული პროგრამების განხორციელებაში ჩართული იყო 6 მასწავლებელი, პროფესიულ სტუდენტებს კი მიიღებდნენ მას შემდეგ, რაც სკოლას მიენიჭებოდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. ექსპერტმა ლიანა ჩარკვიანმა აღნიშნა, რომ სკოლას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის ჰქონდა შესაბამისი რესურსი.

საბჭოს წევრმა ლაშა მკურნალიძემ დაზუსტების მიზნით, კითხვით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტს, რამდენი იყო დაწესებულების საერთო ფართი. ლიანა ჩარკვიანმა აღნიშნა, რომ დაწესებულების საერთო ფართი იყო 1556 კვ.მ. ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, რამდენი კვადრატული მეტრი გამოიყენებოდა აქედან სასწავლო მიზნებისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო ფართი დაახლოებით იყო 1000 კვ.მ.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულების სურვილი იყო პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა 60-ით.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტს ლიანა ჩარკვიანს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის პროფესიული სტუდენტის მიღებას. ლიანა ჩარკვიანმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ავტორიზაციის პირობებში განსაზღვრული კონტიგენტის ფარგლებში, მისი მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, შეეძლო 60 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების“ მე-13 მუხლის შესაბამისად, შპს - საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 205258344) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 60-ით.

თ. 13

5. შპს - აკადემია ლიბერტი-პროფისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ნინო ფეტვიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებზე. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა იყო დადებითი და მათ მიერ შენიშვნა არ იყო დაფიქსირებული არც ერთ სტანდარტთან მიმართებით, ერთადერთი რისი თქმაც შეიძლებოდა, გახლდათ, ის, რომ დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტი არ განხორციელდა და ვებ გვერდზე პროგრამების კატალოგი ვერ იქნა ნანახი. ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას სურდა ორი პროფესიული პროგრამის კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის და კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამების განხორციელება.

ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭილაძემ, აღნიშნა, რომ ცენტრის მიერ განსაზღვრული ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ვიზიტი განხორციელდა, დღის წესრიგით გათვალისწინებულ მხოლოდ ორ დაწესებულებაში, შპს - ახალგაზრდობასა და შპს - საქართველოს უნივერსიტეტში, იქედან გამომდინარე, რომ აღნიშნული დაწესებულებების სურვილი გახლდათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება და არა თვითშეფასების გზით ცალკეული პროგრამის დამატება. შპს - აკადემია ლიბერტი-პროფს დამატებით პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლება უკვე ჰქონდა მოპოვებული, შესაბამისად, მსგავსად სხვა დაწესებულებებისა, ვიზიტი არ განხორციელდა.

საბჭოს წევრებმა ადგილზე გადაამოწმეს დაწესებულების ვებ ვერდი და დაადგინეს, რომ კატალოგი იყო ვებ გვერდზე განთავსებული.

საბჭოზე სათათბირო ხმის უფლებით მოწვეულმა ინგა მანაშერიძემ, აღნიშნა, რომ კრიმინალისტიკის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამის დასკვნაში ექსპერტებს რამდენიმე პუნქტში აღნიშნული ჰქონდათ კრიმინალისტიკის მესამე საფეხურის პროგრამა.

ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული წარმომადგენელმა ტექნიკურ ხარვეზს, დასკვნის წერისას, იქ სადაც ორივე პროგრამას მსგავსი შეფასება ჰქონდა, ტექსტის გადატანისას გაიპარა შეცდომა.

ინგა მანაშერიძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში იყო საუბარი, პრაქტიკის უზრუნველყოფის ობიექტებზე, თუმცა არ იყო მითითებული ამ ობიექტების დასახელება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულება იყო გაფორმებული კერძო კრიმინალისტურ ლაბორატორიასა და დეტექტივების ასოციაციასთან. შემთხვევის

დათვალიერებასთან დაკავშირებული სწავლება ჩატარდებოდა დეტექტივების ასოციაციაში, დანარჩენი კი კერძო კრიმინალისტურ ლაბორატორიაში, სადაც ყველა საჭირო მატერიალური რესურსი იყო.

ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა დეტექტივების ასოციაციის კვალიფიკაციით. იქედან გამომდინარე, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კერძო დეტექტივის ინსტიტუტი არ არსებობდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ კერძო კრიმინალისტურ ლაბორატორიაში კრიმინალისტის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამის პრაქტიკისათვის გათვალისწინებული ყველა მატერიალური რესურსი, დეტექტივების ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრელება იყო დამატებითი რესურსი. შესაბამისად, დაწესებულებას შეეძლო ეს დამატებითი რესურსი საერთოდ არ გამოეყენებინა.

ინგა მანაშერიძე დაინტერესდა, თუ როგორ იყო შერწყმული ერთმანეთთან, ზოგადი და პროფესიული განათლების სწავლება და აღმატებოდა თუ არა მოსწავლისა და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა 41 საათს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ აკადემიაში სწავლობდნენ ისეთი მოსაწავლეებიც, რომლებიც ამავდროულად ირიცხებოდნენ პროფესიულ პროგრამებზე, მათი კვირეული დატვირთვა კი კანონმდებლობის მოთხოვნებს არ სცდებოდა.

მათე ტაკიძე დაინტერესდა, იყო თუ არა დღეს ბაზარზე მოთხოვნა კრიმინალისტის პროგრამაზე. მან აღნიშნა, რომ ის თავად იცნობდა კრიმინალისტისათვის დაწესებულ ამერიკულ სტანდარტებს, სადაც მოთხოვნები საკმაოდ მაღალი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ბონდო ზარნაძემ აღნიშნა, რომ პოლიციის აკადემიაში დაწესებულების კურსდამთავრებულებს უგამოცდოთ იღებდნენ, ბაზარზე კი საკმაოდ მაღალი მოთხოვნა იყო ამ პროფესიაზე.

ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, თუ როგორ ხდებოდა პროფესიული პრაქტიკის გავლა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, თეორიული კურსების ამოწურვის შემდეგ ხდებოდა პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული პრაქტიკული უნარების გამომუშავება.

პავლე თვალთაშვილი დაინტერესდა, თუ რას ნიშნავდა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ჩანაწერი, რომ ადამიანური რესურსის კვალიფიკაცია დასტურდებოდა შესაბამისი დოკუმენტაციით.

ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა, ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის დასადასტურებლად დიპლომები და ბოლო სამი წლის განმავლობაში მუშაობის გამოცდილების ამსახველი დოკუმენტები, რაც ექსპერტთა მიერ იქნა შემოწმებული.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა კრიმინალისტის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული პრაქტიკული უნარების გამომუშავება, კონკრეტულად სად ხდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი თავად, იყო პრაქტიკის ხელმძღვანელი, ასევე არსებობდა მენტორის ინსტიტუტი და პროფესიული სტუდენტები შეძლებდნენ პრაქტიკის ორ ობიექტში შესაბამისი ცოდნის დაუფლებას.

ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა, რა კვალიფიკაცია ჰქონდათ პრაქტიკის პედაგოგებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ისინი აკმაყოფილებდნენ კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ნინო ფეტვიაშვილმა, აღნიშნა, რომ სტუდენტის დატვირთვიდან 40% ეთმობოდა პრაქტიკას, 60% კი - თეორიას.

ლაშა მკურნალიძე დაინტერესდა 40% დატვირთვა ერთ პრაქტიკის ობიექტზე მოდიოდა თუ ორივეზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ პრაქტიკით გათვალისწინებულ გასვლით სამუშაოებს ახორციელებდა დეტექტივთა ასოციაცია, ხოლო დანარჩენს კერძო კრიმინალისტიკური ასოციაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - აკადემია ლიბერტი-პროფესიონალის კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 1

საბჭოს თავმჯდომარე, დაინტერესდა, კბილის ტექნიკოსის პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს რეალურ პაციენტებთან თუ ჰქონდათ შეხება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტებს ყავდათ მეთვალყურე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - აკადემია ლიბერტი-პროფესიონალის კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - აკადემია ლიბერტი-პროფს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202065068) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	კბილის ტექნიკოსი	მესამე საფეხური	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	80

2	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)	მესამე საფეხური	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი ს) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
---	---------------------------------------	--------------------	---	----

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 20:20 საათზე.

თავმჯდომარე
თამარ ცირეკიძე



თავმჯდომარე
ლაშა მკურნალძე



მდივანი
ნატო ქობულაძე

